ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2022 წლის 23 თებერვლის სხდომის

ოქმი #2

2022 წლის 23 თებერვალს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 36 წევრი, სხდომას ესწრებოდა 23 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ.ტრაპაიძე და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ.ჭელიძე.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. საფაკულტეტო კონფერენციაში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის შესახებ;
2. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში;
3. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი – საფაკულტეტო კონფერენციაში აკადემიური პერსონალის მონაწილეობის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. ბატონმა რამაზმა აღნიშნა, რომ პანდემიური სიტუაციის გამო კვლავ ვერ ხერხდება საფაკულტეტო კონფერენციის სრულფასოვნად ჩატარება, ამიტომ საჭიროა მივიღოთ დადგენილება, რომ საფაკულტეტო კონფერენციაში მონაწილეობა წელს არ ჩაითვალოს სავალდებულოდ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალისათვის.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა გ.ღვედაშვილმა, ე.ნადარაიამ, დ.ძიძიგურმა. მათ აღნიშნეს, რომ მიზანშეწონილია, თუ ამ კონფერენციაში მონაწილეობა „სავალდებულო“ არ იქნება და დადგენილებაში წელი საერთოდ არ მიეთითება. აზრი გამოთქვეს ასევე ნ.შათაშვილმა, ა.უგულავამ, ა.შენგელაიამ, ა.ჩიკვაიძემ, ა.სირბილაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: საფაკულტეტო კონფერენციაში მონაწილეობა არ ჩაითვალოს სავალდებულოდ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალისათვის.

2. მოისმინეს: დღის წესრიგის მეორე საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. მან წარმოადგინა ცვლილებები შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში: საბაკალავრო პროგრამები - „გეოგრაფია“, „ბიოლოგია“, „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“, „კომპიუტერული მეცნიერება“, „კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი)“; სამაგისტრო პროგრამები - „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება“, „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება“, „ინფორმაციული სისტემები“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, „ფუნდამენტური ფიზიკა“, „გამოყენებითი ფიზიკა“, „ბიოლოგია“, „ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია“. ცვლილებების მიზანია პროგრამის ოპტიმიზაცია და განვითარება, შეთავსება კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან და პროგრამის ახალ რედაქციასთან თავსებადობა (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, თ.თადუმაძემ, ნ.დორეულმა, გ.სირბილაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საგანმანათლებლო პროგრამების ცვლილებების დამტკიცების შესახებ (იხ. დანართი 1).

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართი 1).

3. დღის წესრიგის მესამე, მიმდინარე საკითხები. მიმდინარე საკითხებში განხილული იყო:

ა) გეოგრაფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის, სანდრო გოგოლაძის სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დაზუსტება (ვ.ტრაპაიძე);

ბ) მეორე კორპუსის 157-ე ოთახისათვის ომარ მუკბანიანის სახელის მინიჭება (რ.ხომერიკი);

გ) მეთერთმეტე კორპუსის შესასვლელთან მემორიალის განთავსების შესახებ (თ.ლეჟავა).

3.ა) მოისმინეს: გეოგრაფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის, სანდრო გოგოლაძის სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დაზუსტების შესახებ. საკითხი გამოიტანა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დოქტორანტ სანდრო გოგოლაძის სადისერტაციო ნაშრომის სათაურის დაზუსტების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: შეიცვალოს გეოგრაფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის **სანდრო გოგოლაძის** სადისერტაციო ნაშრომის სათაური: ,,რაჭის ტურისტული და რეკრეაციული პოტენციალის გეოგრაფიული შეფასება" და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - **"მთიანი რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალის გეოგრაფიული შეფასება და ტერიტორიული დაგეგმარება**

(ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)", ხელმძღვანელი პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი.

3.ბ) მოისმინეს: მეორე კორპუსის 157-ე ოთახისათვის ომარ მუკბანიანის სახელის მინიჭების შესახებ. პროფესორ ომარ მუკბანიანის ღვაწლისა და ხსოვნის უკვდასაყოფად, ქიმიის დეპარტამენტმა ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა წინადადება, რომ დეპარტამენტის ერთ-ერთი ლაბორატორიის ოთახს მინიჭებოდა პროფესორ ომარ მუკბანიანის სახელი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ე.ნადარაიამ, ი.ჩიკვაიძემ, ა.შენგელაიამ, დ.ძიძიგურმა, რ.გახოკიძემ, ნ.დორეულმა, ნ.შათაშვილმა. ყველამ მხარი დაუჭირა აღნიშნულ ინიციატივას. დ. ძიძიგურმა დააყენა წინადადება მიენიჭოს არნოლდ გეგეჭკორის სახელი უნივერსიტეტის მე-11 კორპუსში მდებარე 435-ე ოთახს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: მიენიჭოს თსუ მეორე კორპუსის #157 ოთახს პროფესორ ომარ მუკბანიანის სახელობის ლაბორატორიის სახელწოდება, ხოლო მე-11 კორპუსის 435-ე ოთახს არნოლდ გეგეჭკორის სახელობის კაბინეტის სახელწოდება.

3.გ) მოისმინეს: მეთერთმეტე კორპუსის შესასვლელთან მემორიალის განთავსების შესახებ. პროფესორმა თ.ლეჟავა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე გამოვიდა ინიციატივით მხატვარ სირბილაძის მიერ შესრულებული მაკეტის მიხედვით მეთერთმეტე კორპუსის შესასვლელთან მემორიალის დადგმის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მემორიალი არის გენეტიკის თემაზე და სულ ესაჭირეობა 1 კვ.მ მიწის ფართობი. რაც შეეხება მემორიალის დადგმის ხარჯებს, ამას ბატონი თ.ლეჟავა თავის თავზე აიღებს.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ა. შენგელაიამ, დ.ძიძიგურმა, ნ.შათაშვილმა, ნ.დორეულმა. ყველამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ სჯობს, ჯერ მემორიალის მაკეტს გავეცნოთ და მერე ვიმსჯელოთ მისი დადგმის საკითხზე.

დაადგინეს: მიღებულ იქნას ცნობად და განხილვა გადაიდოს სამომავლოდ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი